

# ლია ინფორმაცია, როგორც ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ფაქტორი

ნელი სესაძე,  
ნინელი თევდორაშვილი,  
ლია პიტიურიშვილი  
საქართველოს ეროვნული  
უნივერსიტეტის პროფესორები

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური თაღლითობის და სკანდალების სიუხვემ განაპირობა მოთხოვნის ზრდა ინფორმაციის ღიაობისა და გამჭვირვალობისადმი (აშშ-ს კომპანია Enron-ის, გაერთიანებული სამეფოს BCCI ბანკის გაკოტრება, კომპანია ფოლკსვაგენის (Volkswagen) შემთხვევა 2015 წელს და სხვა მრავალი).

ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა, რომლებსაც აშშ-ს ე.წ. სუბპრაიმ იპოთეკურმა კრიზისმა დაუდო სათავე, ნათელი გახადა, რომ მომხმარებელთა დაცვისათვის რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა. ფინანსურმა ინოვაციებმა-დერივატივებმა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულმა სექტორებისადმი პროცესმა 2008 წლის ფინანსური კრიზისის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

აღნიშნულის გარდა, ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაკეთილსინდისიერი და პროდუქტების გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის პირობებში იზრდება მომხმარებლების გადატვირთვა პროდუქტებით (ე.წ. პაკეტური შეთავაზებები, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის ერთზე მეტი პროდუქტის შეთავაზებას სპეციალურ ფასად).

დანაშაულისა და ტერორიზმის დაფინანსებით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის საკითხებში მნიშვნელოვანია სრული და სამართლიანი ინფორმაცია.

2022 წლის 24 თებერვლში განვითარებული მოვლენების შემდეგ (უკრაინა-რუსეთის ომი). ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ (SEC) მოსთხოვა ცნობილ კომპანიებს გაამჟღავნონ დამატებითი ინფორმაცია რუსეთში შემოსავლის დაკარგვის და ვალუტის რყევებთან დაკავშირებული ზარალის საფრთხეების შესახებ, ისევე როგორც სხვა პოტენციური ფინანსური რისკების შესახებ. ასევე მათ უნდა განაახლონ რისკის მონაცემები თავიანთი აქციების შეთავაზების სამომავლო დოკუმენტებში, რათა ინვესტორებმა შეძლონ ადეკვატურად შეაფასონ სიტუაცია ფასიანი ქაღალდების შეძენის დაგეგმვისას.<sup>1</sup>

მომხმარებელთა დაცვისათვის ასევე მნიშვნელოვანია მათი ფინანსური განათლება. თანამე-

დროვე ეტაპზე განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში უდიდესი ყურადღება დაეთმო მოსახლეობაში ფინანსურ განათლების შეტანას. ითვლება, რომ განათლებული, თავის თავში დარწმუნებული მოქალაქეები, რომელთაც შესწევთ უნარი აიღონ პასუხისმგებლობა ფინანსებზე წარმოადგენს ჯანმრთელი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს.

**საკვანძო სიტყვები:** სანდო და სამართლიანი ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა, ფინანსური განათლება, საინვესტიციო პროდუქტისადმი მოთხოვნები (KID).

## TRANSPARENT INFORMATION AS A FACTOR OF ECONOMIC STABILITY AND GROWTH

Neli Sesadze ,  
Nineli Tevdorashvili ,  
Lia Pitiurishvili  
Professores of  
Georgian National University

### ABSTRACT

The rise and fall in the level of economic activity above acceptable “normal” values occurs due to the lack or absence of accurate information about the market situation

This leads to the adoption of economically unjustified decisions, as well as decisions based only on available information, expectations, or decisions made under the influence of mass optimism or pessimism.

For the modern world economy, the dependence of market behavior on information is especially relevant, since it allows significant financial flows to be involved in virtual financial transactions, and thereby have a decisive impact on market behavior. Therefore, currently the transparency of information, i.e. ensuring its accessibility and understandability for market participants becomes a condition for stability.

**Keywords:** Reliable and fair financial reporting, transparency of financial products, financial education, requirements for investment products (KID).

1 <https://internationalwealth.info/news-of-the-offshore/sec-trebuert-uchest-riski-ot-poteri-rossijskih-aktivov/>

**შისავალი**

ფინანსური სისტემის, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა მეტად მნიშვნელოვანია. გამჭვირვალობის ნაკლებობამ ან არარსებობამ ადვილად შეიძლება გამოიწვიოს კორუფციული სიტუაციები, ან შეუწყოს ხელი რესურსების გამოყენებას პირადი სარგებლობისათვის.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩო მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ფინანსური სისტემის, პროდუქტების გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფასა და რეგულირებას.

ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიათა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობას, სამართლიანობას.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი (Sarbanes-Oxley Act), რითაც გაიზარდა მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგებისადმი. კანონის მოთხოვნები (Sarbanes-Oxley Act) სავალდებულოა კომპანიისათვის, რომელთა ფასიანი ქაღალდები დარეგისტრირებულია აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის მიერ, რომელთა აქციები კოტირდება აშშ-ს საფონდო ბირჟებზე (NYSE, NASDAQ). მსგავსი კანონები მიღებულ იქნა სხვა ქვეყნებშიც: კანადაში (Bill 198), იაპონიაში (J-SOX), გერმანიაში (German Corporate Governance Code), ინდოეთში (Clause 49).

2008 წლის კრიზისის შემდგომ მიღებულ იქნა აშშ-ში კანონი უოლ-სტრეიტის რეფორმირების და მომხმარებელთა დაცვის შესახებ (Wall Street Reform and Consumer Protection Act), მოკლედ, დოდ-ფრანკის (მისი ინიციატორების მიხედვით) კანონი (Dodd-Frank Act). იგი წარმოადგენს ფინანსური რეგულირების სისტემის განახლების მცდელობას, მიზანია აშშ-ს ფინანსური სისტემის რისკების შემცირება. კანონის ამ კანონით შეიქმნა ფინანსური რეგულირების დამატებითი ორგანო-ფინანსური სტაბილურობის ზედამხედველობის საბჭო (Financial Stability Oversight Council, FSOC).

ფინანსური სისტემის ღიაობა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნაც არის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოციაციის ხელშეკრულების პარაფირებით საქართველომ ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულით (EUAcquiscommautaire) დადგენილი უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში. კანონით სანარმოები ვალდებულნი არიან ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნა წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს, რომელსაც დაევალა ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროება.<sup>2</sup>

თანამედროვე ეტაპზე განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში უდიდესი ყურადღება დაეთმო თავის მოსახლეობაში ფინანსურ განათლების შეტანას. ითვლება, რომ განათლებული, თავის თავში დარწმუნებული მოქალაქეები, რომელთაც შესწავთ უნარი აიღონ პასუხისმგებლობა ფინანსებზე წარმოადგენს ჯანმრთელი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება მიმდინარეობს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, ასევე ინდოეთში და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა. იგი მიზნად ისახავს ზოგადი ფინანსური და ეკონომიკური ცოდნის დონის გაუმჯობესებას, დაეხმარება მომხმარებელს მისთვის სასარგებლო და ამავე დროს საუკეთესო ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში.<sup>3</sup>

რთული საინვესტიციო ბაზრები ხასიათდებიან როგორც მომგებიანობით, ასევე მაღალი სარისკო დონითაც. ზოგიერთი მსგავსი ბაზრისათვის ინფორმაცია სრულყოფილად არ არის გამჟღავნებული. შესაბამისად, საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად პროფესიული კვალიფიკაციაა საჭირო.

განვითარებული ფინანსური ბაზრების მქონე ყველა იურისდიქციაში, წყალგამყოფი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა სირთულის ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომას, არის ინვესტორების დაყოფა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურებად.

ინვესტორთა დაყოფა არსებობს 1930-იანი წლებიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ ეგრეთ წოდებულ აკრედიტებულ ინვესტორებს (accredited investors) შეეძლოთ ინვესტიციები განეხორციელებინათ კომპლექსურ და არასაჯარო ინსტრუმენტებში. მათ უნდა გააჩნდეთ 200,000 აშშ დოლარის საოჯახო წლიური შემოსავალი ან უნდა ფლობდნენ 1 მილიონი აშშ დოლარის წმინდა კაპიტალს, საცხოვრებელი უძრავი ქონების გარეშე. 2020 წლიდან აკრედიტებულ ინვესტორთა სიაში მოხვედრა შესაძლებელი ხდება პროფესიული ცოდნის დადასტურებითაც. აკრედიტაცია ხსნის წვდომას კერძო კაპიტალის ფონდების, ჰეჯ-ფონდების, სტარტაპების, არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. მსგავსი წესები მოქმედებს ევროკავშირშიც: კვალიფიციურ ინვესტორს უნდა გააჩნდეს ფინანსური ინსტრუმენტების სტაბილური და მნიშვნელოვანი ბრუნვა, ფინანსურ სექტორში აქტიურობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება ან მინიმუმ 500 000 ევროს ფინანსური აქტივები.

საქართველოში 2020 წლის დეკემბერში დამტკიცდა „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტო-

2 საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ, 2016 წელი  
3 ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023, საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://nbg.gov.ge/publications/financial-education>

რად აღიარების“ წესი, რომელიც ეფუძნება MIFID II-ის პრინციპებს და უფრო დეტალურად და ნათლად ადგენს იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ პირები, გამოცდილ/გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარებისთვის.

საქართველოს კანონი ფინანსური ბაზრების შესახებ გათვითცნობიერებულ (გამოცდილი) ინვესტორად ითვლება პირი, რომელსაც აქვს საკმარისი გამოცდილება, ქონება ან შემოსავალი იმისათვის, რომ მან აიტანოს საინვესტიციო საქმიანობით გამომწვეული ფინანსური ზარალი. გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორი არის მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი, ფინანსური ინსტიტუტი, ფინანსური ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიული პირი, რომლის კაპიტალის ოდენობა აღემატება 1 მილიონ ლარს, ან სხვა პირი, რომელიც ასეთად აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო მუხლი 58-ის მიხედვით მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი – პირი, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მილიონ ლარს ან წლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200,000 ლარს.<sup>4</sup>

რუსეთში, 2013 წლიდან, მოქალაქეები ითვლებიან კვალიფიციურ ინვესტორებად, თუ ფლობენ ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელოვან პორტფელს (ფინანსური აქტივები ან ფინანსური ინსტრუმენტების ბრუნვა 6 მილიონ რუბლზე მეტი), ადრე მუშაობდნენ ფინანსურ ინსტიტუტებში მინიმუმ ორი წლის განმავლობაში. გააჩნიათ პროფესიული განათლება ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი ატესტატი, როგორც ფინანსური ინსტიტუტის თანამშრომელს. ამრიგად, კვალიფიციური ინვესტორები, რომლებსაც აქვთ წვდომა რთულ საინვესტიციო პროდუქტებზე, შეიძლება იყვნენ შეძლებული მოქალაქეები ან პროფესიონალი ფინანსისტები.

ამავდროულად, საფონდო ბაზარზე 2020–2021 წლებში რთული პროდუქტების დისტრიბუციის პრაქტიკამ აჩვენა, რომ არაკვალიფიციური ინვესტორები აღმოჩნდნენ. რუსეთის ბანკის მონაცემებით, 2021 წლის დასაწყისში კვალიფიციური ინვესტორების რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 200 000 ადამიანს, ხოლო მოსკოვის ბირჟაზე საბროკერო ანგარიშების მქონე მოქალაქეების რაოდენობამ 11 მილიონ ადამიანს გადააჭარბა და აგრძელებს ზრდას. დამატებითი პირობებია არაკვალიფიციური ინვესტორებისთვის ფინანსური პროდუქტების მიყიდვისთვის- გამყიდველის მხრიდან ინფორმაციის მაღალი ხარისხით გამჟღავნება, ინვესტორების მხრიდან მათ მიერ შეძენილი ინსტრუმენტების ხასიათისა და რისკების გაგება.

ფინანსურ ინსტიტუტებს უფლება ეძლევათ მიეცინათ გარკვეული ტიპის რთული ინსტრუმენტები არაკვალიფიციურ ინვესტორებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გაივლიან ტესტირებას კონკრეტული ტიპის ინსტრუმენტის მახასიათებლებისა და რისკების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტესტის ჩაბარება არ იძლევა ინვესტორის კვალიფიციური სტატუსის მიღების შესაძლებლობას ამ კანონის მიხედვით, არამედ მისთვის ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ იმ ტიპის ინსტრუმენტები, რომლებზეც ტესტი იქნა ჩაბარებული.

პირველ რიგში, ნებისმიერ ინვესტორს სჭირდება დროული, სანდო და გასაგები ინფორმაცია პოტენციური საინვესტიციო ობიექტის შესახებ. ფინანსურ ბაზრებზე ინფორმაციის ასიმეტრიის აღმოსაფხვრელად, კანონპროექტი პირველად ანიჭებს ბანკს ახალ უფლებამოსილებებს. ბანკს უფლება ენიჭება გააკონტროლოს საინვესტიციო პროდუქტისადმი მოთხოვნები (KID). საცალო ინვესტორს უნდა ჰქონდეს მკაფიო და დაბალანსებული ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტის, მისი შემოსავლიანობის, ხარჯებისა და რისკების შესახებ.<sup>5</sup>

უცხოურ პრაქტიკაში KID-ს დიდი ისტორია აქვს. პირველად, გამჟღავნების მოთხოვნა დაინერგა დიდ ბრიტანეთში 2009 წელს და ეხებოდა ძირითადად სტრუქტურირებულ საინვესტიციო პროდუქტებს.

ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდამ არა მხოლოდ გაზარდა ინვესტორების ცნობიერება, არამედ გამოიწვია ბაზრის გადანაწილება. ფინანსური ინსტრუმენტების დომინანტი ემიტენტები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ მაღალი საიმედოობითა და გამჭვირვალობით, რამდენიმე წლის განმავლობაში თავიანთი პოზიციები დაუთმეს სხვა მონაწილეებს.

ზოგიერთი სარისკო და რთული ფინანსური ინსტრუმენტის მიწოდება შეიზღუდა, რადგან ბევრმა ბანკმა გადახედა საკუთარ პოზიციებს საცალო ბაზარზე. არაერთი მსხვილი ემიტენტი, სიტუაციის გადახედვის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ საცალო გაყიდვები აღარ შედის მათ KPI (key performance indicators, KPI) ეფექტურობის საძიებო მაჩვენებლებს შორის. თავდაპირველად ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შემოღებამ არ გამოიწვია ბაზრის პრაქტიკის მონესრიგება. 2014 წელს, ბრიტანეთის მარეგულირებელმა დააჯარიმა Credit Suisse და Yorkshire Building Society 3,8 მილიონი ფუნტით რადგან მათ ვერ შეასრულეს პროდუქტის გამჭვირვალობის და სამართლიანობის მოთხოვნები და სარეკლამო აქციებმა კი გამოიწვია პოტენციური ინვესტორების შეცდომაში შეყვანა.

შემდეგომ გამჟღავნების მოთხოვნები გაძლიერდა და განვითარდა და გავრცელდა ევროპულ დონეზე. 2017-2020 წლებში ისინი აისახა ევროკა-

4 საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=44>

5 <https://econs.online/articles/opinions/novy-pravila-dlya-shirokogo-kruga-investorov>



ვმირის ორ დირექტივაში: კომპლექსური საცალო და სადაზღვევო საინვესტიციო პროდუქტების რეგლამენტში (PRIIPs) და ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრების გაფართოებულ დირექტივაში (MiFID II). ისინი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებიც გამოსცემენ და ავრცელებენ თავიანთ პროდუქტებს საცალო ინვესტორებზე.<sup>6</sup>

2018 წლიდან ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში KID სავალდებულოა ფინანსური პროდუქტებისა და ინსტრუმენტებისთვის. ეს არის ფინანსური ინსტრუმენტის ძირითადი მახასიათებლების სამი გვერდიანი რეზიუმე. ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ეროვნულმა ასოციაციამ და ზოგიერთმა საინფორმაციო და ანალიტიკური სერვისის პროვაიდერმა შეიმუშავა CID შაბლონები ყველაზე გავრცელებული პროდუქტებისთვის. ანალოგიურად, სავაჭრო პლატფორმებმა, სადაც საბირჟო ვაჭრობის ინსტრუმენტები განთავსდება და ვრცელდება, წარმოადგინეს CID-ის საკუთარი ვერსიები. მაგალითად, იაპონურმა საბირჟო ჯგუფმა JPX ევროპელ ინვესტორებზე დერივატივების გაყიდვისას შეიმუშავა მათი სტანდარტული აღწერა.

საერთაშორისო დონის საკვანძო ინფორმაციის დოკუმენტი (KID) შედგება რამდენიმე სტანდარტული სექციისგან: პროდუქტის განმარტება (ტიპი, საინვესტიციო მიზნები, გადახდის პროცედურა, სამიზნე საცალო ინვესტორი), პოტენციური მოგება და რისკი (შვიდი პუნქტიანი შემაჯამებელი რისკის მაჩვენებელი, ცხრილი ჰიპოთეტური დაბრუნების ოთხი სცენარით).

ემიტენტის მიერ ვალდებულებების შეუსრუ-

ლებლობის შემთხვევის გარკვევა, ინვესტორის ხარჯები (ერთჯერადი და რეგულარული ხარჯების და საკომისიოების გავლენა წლიური მომგებიანობის შემცირებაზე, ხარჯების სტრუქტურა), ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვადა და მისი პირობები. ვადაზე ადრე დაფარვა (ხელშეკრულების შეწყვეტა), საჩივრების განხილვის პროცედურა, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის ემიტენტის ვებსაიტზე არსებული საინფორმაციო მასალების ბმულები.

KID-ის ყველა საკვანძო მოთხოვნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რისკის რეიტინგი, რომელსაც ევროპულ კანონმდებლობაში ეწოდება „შემაჯამებელი რისკის მაჩვენებელი“ და ჰიპოთეტური სცენარები. რისკის რეიტინგი არის ფინანსური ინსტრუმენტის ჰიბრიდული შეფასება და ასახავს საკრედიტო და საბაზრო რისკების ერთობლიობას.<sup>7</sup>

**დასკვნა.** ფინანსური ინფორმაციის გაუთვითცნობიერებელ თუ განზრახ დამახინჯების გამო არაადექვატურად ფასდება საწარმოთა აქტივები, ვალდებულებები, რაც თავის მხრივ ინვესტორს მცდარ მოლოდინებს ინვესტორთა მხრიდან. აუდიტორი ფირმების, რეიტინგული სააგენტოების მიერ აქტივების ლიკვიდურობის არარეალური შეფასება მსოფლიო ეკონომიკის კოლაფსის მიზეზი ხდება. ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს იურიდიული და ფინანსური პასუხისმგებლობის გამკაცრება აუდიტორული ფირმებისა და რეიტინგული სააგენტოების მიმართ, ფინანსური პროდუქტების მომხმარებელთა განათლების დონის ზრდა რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს ეკონომიკურ სტაბილიზაციას და ზრდას.

6 <https://econs.online/articles/opinions/novy-pravila-dlya-shirokogo-kruga-investorov/>

7 <https://eclear.com/de/artikel/eu-kommission-stellt-neue-regeln-fuer-finanztransparenz-vor/>

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია - 2023. ინფორმირებული გადაწყვეტილებებიდან ფინანსურ კეთილდღეობამდე, საქართველოს ეროვნული ბანკი
2. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება. 09/03/2021 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5117792?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.09.2023];
3. ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო. საქართველოს ეროვნული ბანკი თბილისი, 2017.
4. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=44> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.09.2023];
5. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის შესახებ; 08.06 2016; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504> (შომწმნბ [უკანასკნელად გადამოწმდა 14.09.2023];
6. EU-Kommission stellt neue Regeln für Finanztransparenz vor <https://eclear.com/de/artikel/eu-kommission-stellt-neue-regeln-fuer-finanztransparenz-vor/> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.09.2023];